სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

88312711228720

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N200170674

რეგისტრაციის თარიღი

18.02.2020 წ

ნოტარიუსი: ელენე მერგელ
მისამართი: ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. 22/4
ტელეფონი: 995322745001

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო

ორი ათას ოცი წლის თვრამეტ თებერვალს, მე, **ელენე მერგელს,** ნოტარიუსს ქ. თბილისში, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე ქ. თბილისი ქეთევან წამებულის გამზ. №22/4, მომმართა სრულწლოვანმა და ქმედუნარიანმა პირმა, **ალექსანდრე გოცირიძემ** (მოქალაქეობა: საქართველო, ორმაგი მოქალაქეობა, დაბ.27.10.1953წ., პირადი #01015013316, გაცხადებული მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, გამზირი წმ.ქეთევან დედოფლის N24, ბინა 46), რომელმაც განაცხადა, რომ წარმოადგენს **შპს „რეალთი ავლაბარს“** (ს/კ 405012864) (შემდგომ ტექსტში - „მარწმუნებელი“), თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან და წესდებისა. მარწმუნებელის წარმომადგენელმა მოითხოვა **მინდობილობის** შედგენა და სანოტარო წესით დადასტურება. ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობასა და წარმომადგენლობით უფლებამოსილებაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. მე დავადგინე მარწმუნებლის ნება, რის შემდგომაც შევადგინე **მინდობილობის** შემდეგი პროექტი:

მინდობილობა

ორი ათას ოცი წლის თვრამეტ თებერვალს, შპს „რეალთი ავლაბარმა“ (რეგისტრირებული 07/10/2013წ, ს/კ 405012864, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი,რ.ჩხიკვაძის ქ., No1, კომერციული ფართი 4/2, სართული 4,ბლოკი II) (შემდგომში - “მარწმუნებელი” და/ან „კომპანია“), წარმოდგენილი დირექტორის, **ალექსანდრე გოცირიძის** მიერ

ირაკლი სვიმონიშვილს (მოქალაქეობა: საქართველო, ორმაგი მოქალაქეობა, დაბ.23.04.1968წ., პ/ნ 01024026272) (შემდგომ ტექსტში - „რწმუნებული“) მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

1. რწმუნებულმა წარმოადგინოს მარწმუნებლის ინტერესები მის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებებთან (ს/კ 01.17.01.131.014) და (ს/კ 01.17.01.131.017) დაკავშირებით და აწარმოოს მშენებლობის ნებართვის აღებასთან (დემონტაჟი/რეკონსტრუქცია/მიშენება/დაშენება/გადახურვა და სხვა) დაკავშირებული საქმეები. აღნიშნულთან დაკავშირებით იყოს მარწმუნებლის წარმომადგენელი სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებებში, მერიაში და მის დაქვემდებარებულ ნებისმიერ სამსახურში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, მუნიციპალურ სამსახურებში, უძრავი ქონების მარეგისტრირებელ ორგანოებში, საჯარო რეესტრში, სსგს, სრს არქივებსა და სამსახურებში, არქიტექტურის სამსახურში, ზედამხედველობის სამსახურში, ურბანული დაგეგმარების სამსახურში და სხვა., გააკეთოს აზომვითი ნახაზები, წარადგინოს საჭირო ცნობები და დოკუმენტები, მათ შორის ელექტრონულად, დააზუსტოს და ნებისმიერი ცვლილება შეიტანოს სარეგისტრაციო მონაცემებში, მოითხოვოს და მიიღოს ნებართვები, შეათანხმოს პროექტი, აწარმოოს შენობა-

ნაგებობების ექსპლუატაციაში მიღებასთან დაკავშირებული საქმეები, მონაწილეობა მიიღოს პროექტის შედგენაში, ცვლილებაში, კორექტირებაში, გაასაჩივროს ადმინისტრაციული აქტები/დადგენილებები, დაესწროს განხილვებს ხმის მიცემის უფლებით, გასცეს/მიიღოს ნებისმიერი თანხმობა, წარადგინოს ნებისმიერი სახის განცხადება, გადაიხადოს კანონით დადგენილი ბაჟები, მოაწეროს ხელი და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია ამ დავალების შესრულებასთან.

2. მინდობილობა ძალაშია 2 (ორი) წლის ვადით.

სანოტარო აქტის ეგზემპლარების რაოდენობა: **4 (ოთხი)**, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ელენე მერგელის სანოტარო არქივში, რომელსაც თან ერთვის ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან მარწმუნებლის შესახებ და მარწმუნებლის წესდება.

საზღაური სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის: 10 ლ. თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების 31-ე მუხლისა, აგრეთვე დღგ - 1.80 ლ, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, აგრეთვე 2 ლ. – სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური, თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების 39-ე მუხლისა.

წინამდებარე სანოტარო აქტის პროექტი, წავუკითხე მარწმუნებელის წარმომადგენელს, განვუმარტე მას აქტის შინაარსი და მასზე ხელის მოწერის სამართლებრივი შედეგები, მათ შორის ის, რომ მარწმუნებელს უფლება აქვს ნებისმიერ დროს ცალმხრივად გააუქმოს მინდობილობა. ამასთან, მინდობილობის გაუქმება არ იმოქმედებს მინდობილობის გაუქმებამდე რწმუნებულის მიერ დადებული გარიგებების თუ შესრულებული მოქმედებების ნამდვილობაზე. მან წაიკითხა მინდობილობის ტექსტი, მკაფიოდ და ნათლად განაცხადა, რომ მისი შინაარსი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ნოტარიუსის თანდასწრებით, პირადად მოაწერა მას ხელი, რასაც ვადასტურებ.

_____

შპს „რეალთი ავლაბარის“ სახელით

ნოტარიუსი


GEORGIA NOTARY ELENE MERGELIA
01007006393